









კარტიული აქტივის კრებებზე

განუხრელად შევასრულეთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი

ჭუთანი. (საკ. კორ.). შედგა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, XX ყრილობის დელეგატმა ამხ. ე. ტაკიძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულეებმა, აღნიშნეს რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, ყურადღება გაამახვილეს მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების, წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების, მასებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების შედეგად მაღალი მაჩვენებლებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. იანვარ-თებერვლის გეგმა შესრულებულია 103,3 პროცენტით. XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა საავტომობილო ქარხნის კოლექტივი, რომელიც მიმდინარე წელს გაცილებით უკეთ მუშაობს, ვიდრე შარშან.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით ქარხანამ 1960 წელს 30 პროცენტით უნდა გადააჭარბოს თავის საპროექტო სიმძლავრეს. ავტომობილმშენებლები მთელი მონღოებით იბრძვიან ამ დავალების შესასრულებლად. მაგრამ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ქარხნის მთელი რიგი საამქროები, კერძოდ, მოსამზადებელი საამქროები ჯერ კიდევ არარიტმულად მუშაობენ, დაბალია მანქანა-დანადგარების გამოყენების კოეფიციენტი. ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საკ-

მაოდ არ წარმართავენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

— მიუხედავად მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებისა, — განაცხადა საავტომობილო ქარხნის დირექტორმა ამხ. ბ. ბუკიამ, — საწარმოში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია რიგზე. ეს იმის შედეგად არის, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი, განსაკუთრებით კი მისი სამრეწველო განყოფილება ღრმად ვერ სწვდება ქარხნის ეკონომიკას და ტექნიკას, ზერელედ ხელმძღვანელობს მას.

აქტივის კრების მონაწილეებმა გააკრიტიკეს ლიტოპონის ქარხნისა და „საქბარიტის“ ქუთაისის მალარითა სამმართველოს ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს საჭირო ნედლეულის მომარაგება და შეუწყნარებლად ჩამორჩინენ იანვარ-თებერვლის დავალებათა შესრულებაში. აღინიშნა, რომ ლიტოპონის ქარხნის ნაკლებ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრო, რომელმაც უნდა შემოზიდოს საწარმოსათვის საჭირო ძირითადი ნედლეული — ბარიტი.

როგორც ორატორებმა განაცხადეს, ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად, ნაკლებად იყენებენ მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს. ეს განსაკუთრებით შეეხება № 4 ტრესტს, რომელსაც ახლახან შეუერთდა ტრესტი № 11. ტრესტში ჯერაც არ დამთავრებულა ორგანიზაციული პერიოდი. ამხ. კ. პროზოროვმა, რომელიც ტრესტის მმართველის მოვალეობას ასრულებს, ვერ უზრუნველყო ცალკეული სამმართველოების გამართული მუშაობა. საკმაო ყურადღებას არ იჩინეს ქუთაისის № 4 ტრესტისადმი საქართველოს სსრ საქალაქო და სა-

სოფლო მშენებლობის სამინისტრო, რომელიც მხოლოდ დაპირებებით კმაყოფილდება.

აქტივის კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების მოთქრებულად განაწილებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას მჭიდროდ არ აკავშირებს ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან. ამ საკითხებზე თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ, ლიტოპონის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. სანიკიძემ, წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ლ. ჭელიძემ და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონის გამო ხშირია სტუდენტობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ვადაჭკორია შეეხო ქალაქის კომუნალური მეურნეობის საწარმოთა საქმიანობას და გააკრიტიკა მათი ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ.

აქტივის კრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები და დასახეს კონკრეტული ღონისძიებები ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.